პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 138 (19879) სამშაბათი, 16 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ბიბლიოთეკა

ტემპი გაძლიერდა, მაგრამ...

ივნისში გეგმით 185.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოიკრიფოს, ეს მეჩაიეების დაძაბულ, ენერგიულ შრომას მოითხოვს. ხშირმა წვიმებმა ვეგეტაცია დააჩქარა, ახლა ჩაი უხვად არის შემოსული. მეჩაიეებმაც კრეფის ტემპი გაძლიერეს, მაგრამ ივნისის გეგმის შესრულებას დღეანდელი ტემპი არ ჰყოფნის. პირველი ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით დამზადებულია 79.549,7 ტონა ნედლეული. მარტო ამ დღეს მოიკრიფა 7.365 ტონა ჩაის ფოთოლი.

რა არის იმისათვის საჭირო, რომ კრეფის ტემპი უფრო გაძლიერდეს?

ვიტყოდით, უპირველესად, რომ საჭიროა, თითოეული მეჩაიის დიდი პასუხისმგებლობა, ნაკისრი ვალდებულების უუფო შესრულებისათვის. პარტიის რაიკომების აგროსამრეწველო გაერთიანებების, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების და სპეციალისტების ორგანიზატორულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული მეჩაიეთა დარაზმვა და გარდაქმნა დღეანდელ მოთხოვნათა სულისკვეთებით. მიზანსწრაფული ზომები უნდა განვახორციელოთ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენის დასაძლევად. ახლა მთავარია მეჩაიეთა სამუშაო პირობების მაქსიმალურად უზრუნველყოფა, ხელის შეწყობა ცხელი და ცივი კერძების, გამაგრილებელი სასმელების ადგილზე მიტანით, მექანიზატორთა მომარაგება სათადარიგო ნაწილებით, რომ დილით ადრე და გვიან დამემდე მომუშავე ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები შრომაში არ დავაყოვნოთ, არ მოვაცდინოთ.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული მონაცემებით, 14 ივნისისათვის დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სულ მოკრეფილია და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 97.467 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს შარშანდელ შესაბამს პერიოდთან შედარებით 16.500 ტონით ნაკლებია. 13 ივნისს მახარაძელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 1.150 ტონა ნედლეული, ზუგდიდელებმა — 843 ტონა. იყოჩაღეს გალის რაიონის მეჩაიეებმა, რომლებმაც ამ დღეს დაამზადეს 698 ტონა ნედლეული, ქობულეთელებმა — 666, ლანჩხუთელებმა — 537, ოჩამჩირელებმა — 406, წალენჯიხელებმა — 385, ხელვაჩაურელებმა — 368 და ა. შ.

მახარაძის რაიონში სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია 11.971 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 13.894, გალში — 10.644. ქობულეთში — 8.887, ოჩამჩირეში — 6.499, ლანჩხუთში — 6.008, ხელვაჩაურში — 5.712, გეგეჭკორში — 5.163, წალენჯიხაში—4,818, ჩხოროწყუში —4.526, ხობში—3.047, ჩონატაურში — 2.823, ქ. ტყიბულის ზონაში — 2.448, ცხაკაიაში — 2.393, წულუკიძეში — 1.892, წყალტუბოს ზონაში — 1.867, გუდაუთაში — 1.763, გულრიფშში — 839, სამტრედიაში — 648, ქედაში — 476, თერჯოლაში — 374, სოხუმში — 279, ჭიათურის ზონაში — 232, ვანში — 144, აბაშაში — 89, ზესტაფონში — 31 ტონა.

ძვირფასო მეჩაიეებო! ახლა ყოველი დღე, ყოველი საათი ძვირად ფასობს. ამინდი კვლავ ჭირვეულობს, დაყოვნება, კრეფის ტემპის შენელება დღეებს გაუწელავს, ეს კი ივნისის გეგმის შესრულებას ხელს შეუშლის. ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიუბილეო წლის დავალების უუფო შესრულებისათვის!

„კომუნისტის“ მიმოხილვა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის 14 ივნისის ცნობების მიხედვით

ვმართოთ მომჭირნეობა

სერიოზულად ვემზადებით ზამთრისათვის

დიდი ხნით ადრე, ვიდრე დამთავრდებოდა შარშანდელი და მომდინარე წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდი, საქართველოს ენერგეტიკოსები შეუდგნენ 1987-1988 წლების ანალოგიური პერიოდისათვის მზადებას.

მიუხედავად მძიმე სამუშაო პირობებისა, რაც გამოწვეული იყო შარშან დეკემბერში სტიქიური მოვლენებისაგან 500 კილოვატიანი სიმძლავრის ძირითადი სისტემათაშორისი ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ დაზიანებით, საქენერგომ მთლიანად დამაკმაყოფილებად გაართვა თავი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და მოსახლეობის უზრუნველყოფას ელექტროენერგიით.

ამ საქმეში მილწეული წარმატებებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1987 წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით ქართველ ენერგეტიკოსებს გადაეცათ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს გადაწყვეტილების თანახმად, კოლექტივებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ელექტროენერგიის დაზოგვით და განახორციელეს ძნიშვნელოვანი ღონისძიებები ენერგოსისტემის მაქსიმალური დატვირთვის საათებში დაწესებული სიმძლავრის შემცირებისათვის, მიეცათ ფულადი პრემია.

ასეთ წარჩინებულ საწარმოთა სიაშია ზესტაფონის ფერროშენაღნობთა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა და სხვები.

ახლა მომავალი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადება მთელი სერიოზულობით მიმდინარეობს.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბიუროს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე სამართლიანად გაგვაკრიტიკეს მუშაობაში არსებული მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებისა და, კერძოდ, იმისათვის, რომ რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზა არსებითად ჩამორჩება სამრეწველო წარმოების განვითარების დაგეგმილ ტემპს და ვერ აკმაყოფილებს მის მზარდ მოთხოვნილებებს.

ჩვენი ყოველი ღონისძიება ახლა ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრას ისახავს მიზნად და ყველაფერს ვიღონებთ, რათა სტაბილურად და შეუწყვეტლად უზრუნველყოთ მოსახლეობა ელექტროენერგიით.

რ. არველაძე.

საქმოთავარენერგოს უფროსის მოადგილე.

ჯეროვანი შეფასების მიღმა

საქართველოს სს რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკაში დადებითი ცვლილებები ხდება, აღნიშნა ი. კ. ლიგაჩოვმა თავის გამოსვლაში ივნისის დამდეგს გამართულ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის თათბირზე. ნარმატებით დამთავრდა მეთერმეტე ხუთწლედი. მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა სამრეწველო პროდუქციის ნარმოებისა და რეალიზაციის, მთელი რიგი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნარმოებისა და დამზადების დავალებანი. იზრდება საქართველოს სს რესპუბლიკის ნილი საერთო-საკავშირო დოვლათის შექმნაში. და როგორც ამის შედეგი, მაღლდება რესპუბლიკის პრესტიჟი, მისი ავტორიტეტი მთელი ქვეყნის მშრომელთა თვალში.

ჯეროვნად შეაფასა რა მიღწეული, ამხ. ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზი გასვა იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ვლინდება ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების ტენდენცია. ამასთან უარადდება მიაპყრო იმასაც, რომ ძირითადი სამრეწველო ფონდები გაცილებით სწრაფად იზრდება ვიდრე წარმოება. მარტო შარშან ფონდუკუგების შემცირების შედეგად რესპუბლიკამ ვერ მიიღო თითქმის ნახევარი მილიარდი მანეთის პროდუქცია, არადამაკმაყოფილებელია სამრეწველო სიმძლავრეების დატვირთვა, ძალიან მცირეა სამუშაო ცვლების ცვლიანობის კოეფიციენტი. 1980 წელს საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა ქვეყანაში. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილის მიხედვით, ახლა კი ეს მაჩვენებელი 10 პროცენტსაც ვერ აღწევს.

აღინიშნა, რომ ყველა ამ მოვლენამ სერიოზულად უნდა დაგვფიქროს. ღრმად უნდა გავერკვეთ რესპუბლიკის მრეწველობის ყველა პრობლემაში, მის სტრუქტურაში, რომელიც ყოველთვის მიზანმიმართულად არ ყალიბდება, მის სანედლეულე და ენერგეტიკულ ბაზაში და მის პერსპექტივებში.

როგორ არის, მაინც, საქმე ეკონომიკური წინსვლის მთავარი მაჩვენებლის — წარმოების მოცულობის ზრდის მიხედვით? მიმდინარე წლის ხუთ თვეში მისმა ზრდამ 100,9 პროცენტი შეადგინა. არადა, იანვარ-თებერვალში ეს მაჩვენებელი 101,6 პროცენტი იყო. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ საწარმოებში წარმოების მოცულობამ იანვარ-მაისში 1,7 პროცენტით იმატა. რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, მათ შარშანდელი შესაბამისი პერიოდის ზღუდე ვერ გადალახეს. წარმოების მოცულობის ზრდას თავი ვერ გაართვა 268, ანუ საწარმოთა 29,1 პროცენტმა და მათ ერთად სახელმწიფოს 303,1 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს. სამწუხაროა, რომ 213-ს მათგან წარმოების მოცულობის შემცირება გეგმით ჰქონდა გათვალისწინებული. ასეთი დაგეგმილი შემცირება რომ არა, მიუხედავად სტიქიური უბედურებისა და სხვა ხელისშემშლელი ობიექტური მიზეზებისა, ამ მხრივ ჩვენი მისამართით გამოთქმულ საყვედურს თავიდან ავიცილებდით. დიახ, ავიცილებდით თავი რომ დგეგლწია უწყებრიობისათვის, გვესწავლა საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, გავფრთხილებოდით რესპუბლიკის პრესტიჟს, მის საერთო ინტერესებს.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, მაგალითად, გამოუშვეს 19,3 მილიონი მანეთით, ხისა და ხის დამშუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 21,1 მილიონი მანეთით, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ — 2,5 მილიონი მანეთით, „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ — 2,5 მილიონი მანეთით, „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანებამ — 900 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია. ყველას ვერ ჩამოთვლი.

ზემოხსენებულ თათბირზე ისიც გვისაყვედურეს, რომ დაბალია პროდუქციის მიწოდებათა გათვალისწინებით გეგმის შესრულების დონე. შარშან ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩამორჩა ყველა შეხუთე საწარმო, მიწოდების ვალდებულების ჩაშლის შედეგად ეიყო მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც. ამჟამად, ხუთი თვის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მდგომარეობას ვარკვეული წინსვლა დაეტყო. შარშან შესაბამის პერიოდში სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია 153-მა, ანუ საწარმოთა 18,4 პროცენტმა. წლეულს — 81-მა, ანუ 10,7 პროცენტმა. დიახ, ეს ახეა, მაგრამ სახურველი შედეგიდან მაინც შორს ვართ. მთლიანად საშუალოდ რესპუბლიკურთან შედარებით ვალდებულების შესრულების დონე დაბალია ხაშურ მასალათა მრეწველობის და ხისა და ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროთა სისტემებში.

როგორც ითქვა, ამხ. ი. კ. ლიგაჩოვმა ისიც გვისაყვედურა, რომ, არსებითად, დავთმეთ პროდუქციის ხარისხის პოზიციები. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ ამ მხრივ სასურველ მაჩვენებელს. სტატისტიკური მონაცემებით ამ მიმართულებით წინსვლა შეიმჩნევა და არ უნდა გაეუშვათ ახლა ხელიდან ინიციატივა. საქმე ის არის, რომ ხარისხის-ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა 104 პროცენტით შესრულდა. მისმა ხვედრითმა წილმა წარმოების მოცულობაში 9,5 პროცენტი შეადგინა, რაც რამდენადმე აღემატება ნავარაუდევს. ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამას მტკიცება აღარ უნდა სჭირდებოდეს. გვახსოვდეს, რომ პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლას ვერავინ გაექცევა და ჯობს დროზე დავიჭიროთ თადარიგი.

სახელმწიფო მიღება მეურნეობრიობის მკაცრი გამომცდელია. ხუთ თვეში სახმიღებაზე გადასული ოცდაერთი საწარმოდან რვაში 484 ათასი მანეთის პროდუქცია დაიწუნეს. აქედან მარტო ქუთაისის ავტოკომბინატში არ მიიღეს 214 ათასი მანეთის ნაწარმი.

ასევე უნდა ითქვას ის საწარმოო გაერთიანებებზე, რომლებიც მალე თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე გადავლენ. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ამ მეთოდით მომუშავე მრავალმა საწარმომ ოთხი თვის მონაცემებით თავი ვერ გაართვა ანლეუბულად მოქმედების მთავარ პირობას — მოგების გეგმის შესრულებას. მუხუანი მრეწველობის სამინისტრომ, მაგალითად, მოგების გეგმის შესრულებას დაუკლო 8,1 მილიონი მანეთი, ხოლო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებამ ამ პერიოდში მოგების ნაცვლად 5,2 მილიონი მანეთი იზარალა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება არ არის თვითმიზანი, იგი შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის ზრდით უნდა გამოიხატოს. საერთოდ, რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთი თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა და ეს ძირითადად რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ საწარმოთა ხარჯზე მოხდა. რაც შეეხება საკავშირო დაქვემდებარების ისეთ დიდ საწარმოებს, როგორიც არიან „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანება, „ელვას“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, ცხინვალის ელექტროიზოლაციული, თბილისის კალინინის სახელობის სამხმაკლო დანადგართა, თბილისის საიუველირო ქარხნები და ზოგიერთი სხვა საწარმო, მათ ვერ უზრუნველყვეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალების რეალიზაცია.

მართალია სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების იანვარ-მაისის გეგმა 69,6 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ კვლავინდებურად მდარეა ამ საგნების გარკვეული ნაწილის ხარისხი, ძალიან ღარიბია ასორტიმენტი. მაღაზიის დახლებზე ყოველთვის ვერ ნახავთ მეტად საჭირო, აუცილებელ საგნებს. ეს იმითაც ახსნება, რომ ბევრი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი არასერიოზულად, სრულიად უპასუხისმგებლოდ უდგება ამ საკითხს. აბა, რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ამ მხრივ გეგმა თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ მხოლოდ 58,4 პროცენტით, ხოლო „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებამ — 85,2 პროცენტით შესრულეს.

მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებულ ყოველ საკითხს ერთ სტატიაში ვერ შეეხები. ზემოთ ლაპარაკი იყო იმ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლებიც, როგორც იტყვიან, ამინდს ქმნიან დარგში. როგორც უკვე ითქვა, არის ხელშესახები წინსვლაც და ნაკარნეზიც. ახლა საჭიროა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები ამხ. ი. კ. ლიგაჩოვის შენიშვნებიდან და მითითებიდან, მკვეთრად გავუმჯობესოთ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, კარგი შედეგებით დავამთავროთ ნახევარი წელი, შეექმნათ სოლიდური მარაგი კეთილ წლის შეორე ნახევრის დამთავრებისათვის, ღირსეულად შეეხვედეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ჟ. ბატმუნხს

15 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟ. ბატმუნხს, რომელიც უნგრეთსა და ბულგარეთში ვიზიტების დამთავრების შემდეგ სამშობლოში გზად მიმავალი მოსკოვში იმყოფება.

გაიმართა ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა, ამხანაგური გაზიარება ორივე პარტიის ბოლო ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტების პლენუმების. გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის, სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის საერთაშორისო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანებისა და ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

შეეხო რა საბჭოთა კავშირში გარდაქმნის საკითხებს, მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმისათვის. პლენუმზე უნდა განვიხილოთ ქვეყნის ცხოვრების ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა ქვეყნის მართვის მთლიანი მექანიზმის ჩამოყალიბება. ამ საკითხის გადაწყვეტა თავისი სიღრმით უდიდეს რევოლუციურ გავლენას მოახდენს საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების ყველა მხარეზე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გეგმების განხორციელებაზე.

მონღოლეთის კომუნისტები და მშრომელები, თქვა ჟ. ბატმუნხმა, მიესალმებიან და მხარს უჭერენ გარდაქმნას, რომელიც საბჭოთა კავშირში ხორციელდება. იგი შთაგვაგონებს, გვიჩვენებს, თუ საქმით როგორ უნდა გამოვავლინოთ სოციალიზმის პოტენციალი. გარდაქმნის იდეები, სულისკვეთება გასაგები და ახლობელია ჩვენთვის. ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში მათი გამოყენება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას შესაძლებლობას აძლევს ღრმად გაანალიზოს ვითარება, დასახოს მათი განხორციელების ამოცანები და გზები.

პარტია დიდ მუშაობას ეწევა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების, საწარმოთა სამეურნეო ანგარიშის განხორციელებისა და თვითდაფინანსებაზე თანდათანობით გადასვლისათვის. პარტია თვალს არ არიდებს არსებულ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს მუშაობაში, ახორციელებს მათი აღმოფხვრის ღონისძიებებს. ძირითადად ყურადღებას მივაპყრობთ ძირეული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებას. მათ წინაშე ისახება ამოცანა იყვნენ უფრო ახლოს ადამიანებთან, წარმოებასთან.

მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში ახალი მიჯნების მიღწევისათვის გამოზნული მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის კურსის განხორციელება კვლავ ადასტურებს სოციალიზმის შესაძლებლობებს, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ხალხის კულტურის ამაღლება და კეთილდღეობის გაუმჯობესება.

საუბრის დროს მხარეებმა განაცხადეს, რომ ორივე პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გამდიდროს ყველა დარგში საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შინაარსი და ფორმები. დიდი ყურადღება დაეთმობა მომავალ პერიოდში ერთობლივი საწარმოების შექმნას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, პირდაპირი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის მოგვარებას. აქტიურდება პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხაზით კავშირი.

მ. ს. გორბაჩოვმა და ჟ. ბატმუნხმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაიზარდოს სოციალისტური ქვეყნების ყველა სახელმწიფოს — დიდი და პატარა სახელმწიფოების მეცადინეობა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, დაძაბულობის კერების ლიკვიდაციის, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების მიზნით. ორივე ქვეყნის მზადყოფნა იმოქმედონ ამ მიმართულებით, ახალი პოლიტიკური აზროვნების სულისკვეთებით დაადასტურა მონღოლეთიდან საბჭოთა ჯარების ნაწილის ამასწინანდელმა გაყვანამ.

ჟ. ბატმუნხმა განაცხადა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიურად უნდა გამოიყენონ სამეურნეო ხელმძღვანელებზე ზემოქმედების ბერკეტები სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის საკრებოროტო საკითხების, სხვა მწვავე პრობლემების გადასაჭრელად.

* * *

შრომითის კოლექტივებში შეხვედრების, ადგილებზე საქმის ვითარების შესწავლის საფუძველზე პირუთვნელი საუბარი გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. ყურადღების ცენტრში იყო რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის წამყვანი ინდუსტრიული დარგების, უწინარეს ყოვლისა, ელექტროტექნიკური, საავტომობილო მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის საქმიანობის გაუმჯობესების ექტუალური ამოცანები და პერსპექტივები, მათთვის ინტენსიური კადრების მომზადების, წარმოების ორგანიზაციის ძირეულ გარდაქმნაში, მთელი მუშაობის ეფექტიანობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში პარტიული ორგანიზაციების მონაწილეობის გააქტიურების აქტიალური ამოცანები და პერსპექტივები.

რესპუბლიკის აქტივის 3 ივნისს გამართულ თათბირზე გამოთქმული მითითებების, შენიშვნებისა და სურვილების რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი ბიუროს გააცნეს პარტიის გარდანნის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. მ. ბოკერიამ, საწარმოო გაერთიანება „თბილისრძის“ პარტბიუროს მდივანმა მ. ლ. ხარაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა თ. ნ. ლოლაძემ. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა გ. ა. მეტონიძემ.

მოუმაბილი გარდაქმნის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პრინციპული მნიშვნელობის საკითხებს მიაპყრეს განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლაკამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ გ. გ. გუმბარიძემ.

რესპუბლიკის მანქანათმშენებელი კომპლექსის განვითარებასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების ანალიზს, ძირითადი ამოცანების განსაზღვრას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ვ. კონიშევმა, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა ო. გ. ანფიმოვმა, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრმა მ. ს. შკაბარდნამ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ბ. სტროგანოვმა, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილემ ბ. მ. იაკოვლევმა.

ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლადდაარსებული თათბირის მითითებების შესაბამისად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანების მიაპყრო ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის ფაყოფილების გამგემ ა. ი. ეოლსკიმ.

განხილვის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

სხდომაზე მიიღეს ორმხრივი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად მონაწილეობენ: სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო — ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანების „ოლექტივის მუშაობის სტაბილიზაციისა და 1990 წლისათვის ახალი ავტომატარენლების წარმოების საპროექტო სამძლავრის ათვისებისათვის; სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე მისი საწარმოების მუშაობის სტაბილიზაციისათვის; სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო — რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული დარგის ორგანიზაციებისა და საწარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. მიღებულ დადგენილებებში საკავშირო დაქვემდებარების შესაბამის საწარმოებს, მათს პარტიულ ორგანიზაციებს, იმ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს, რომელთა ტერიტორიაზეც არის განლაგებული ეს საწარმოები, მიეცათ კონკრეტული დავალებანი; განსაზღვრა აგრეთვე საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების მხრივ რესპუბლიკისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის, სხვა ღონისძიებანი. (საკინფორმი).

რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის

რაგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 3 ივნისს გამართულმა თათბირმა, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა, განიხილა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს სსრ ეკონომიკის პერსპექტიული განვითარების საკითხები. გამოავლინეს პრობლემები, რომლებიც აფერხებენ სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებას, მის გადაყვანას ინტენსიფიკაციის რელსებზე. მთელ რიგ საკითხთა გადაწყვეტა, აღინიშნა თათბირზე, საკავშირო ორგანოების კომპეტენციაში შედის. მათი დამარცხებით უნდა შეივიშუშაოთ მუშაობის ზუსტი პროგრამა, გამოვნახოთ დარგისა და კონკრეტული საწარმოების ინტერესების ოპტიმალური შეხამების გზები.

მუშაობის საკვანძო ორიენტირების განსაზღვრის, მისი დამაბრკოლებელი უწყებათშორისი ბარიერების დაძლევის, რესპუბლიკის ინდუსტრიის დარდაჭერის საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკაში 10-13 ივნისს ჩამოსული იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგე ა. ი. ვოლსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. კონიშევი, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრი ო. გ. ანფიმოვი, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ნ. ბ. პუგინი, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრი მ. ს. შკაბარდნა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოადგილე გ. ბ. სტროგანოვი, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილე ბ. მ. იაკოვლევი.

ისინი იყვნენ რესპუბლიკის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში, სწავლობდნენ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობის მდგომარეობას, გამოიკითხეს მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივა, წარმოების მუშაკთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის გაცნობისას სტაყვა ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ დაბალია ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების დონე, საწარმოს უკანასკნელი სამი წლეულადა ვერ შეუსრულებია წარმოების გეგმა, მდარეა მაგისტრალური ლოკომოტივის ზოგიერთი კვანძის ხარისხი. საწარმოში ჯერ-ოვან დონეზე არ არის დაყენებული საექსპლოატაციო ნაწარმის სერვისული მომსახურება, მცირეა ელმავალმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობის ეფექტიანობა, არის მთელი რიგი სხვა სერიოზული პრობლემები.

ამავე დროს აღინიშნა, რომ ბევრი მათგანი ძნელად თუ გადაწყდება მთელი რიგი საკავშირო ორგანოების შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე. კერძოდ, წარმოების მეთორმეტე ხუთწლედის გეგმა უნდა შეუწონასწორდეს ასამოქმედებელ სიმძლავრეებს. მკვეთრად გაუმჯობესდეს მომიჯნავე საწარმოებიდან წარმოების მომარაგება მაკომპლექტებელი კვანძებითა და აგრეგატებით, საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი ფოლადის სხმელით. აღინიშნა აგრეთვე, რომ აუცილებელია შემუშავდეს ახალგაზრდა კადრების მომზადების პროგრამა, მიღებულ იქნეს ღონისძიებანი ბინით ელმავალმშენებელთა უზრუნველსაყოფად.

„ახლა დავიწყოთ მოძრაობა საწყისი პუნქტიდან, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საკ

1917 წლის ივნისის იმ დაუვიწყარ დღეებში ჯერ კიდევ ყველა როდი მიჰყვებოდა ბოლშევიკებს. მუშათა და გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა შორისაც იყვნენ ისეთები, ვისაც მენშევიკების და ესერების სჯეროდა. ჯერ კიდევ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც სწამდათ, რომ დროებითი მთავრობა თითქოს ხალხის ინტერესებს იცავდა.

და მაინც უმრავლესობისათვის ბევრი რამ გაუგებარი ძალა: ეს როგორ? ჩამოვაგდეთ მეფე, მოვიპოვეთ ხელისუფლება... ხალხმა და ქვეყანამ კი ზავი მაინც ვერ მიიღო. ხალხი ერთობაშიც ვერ გაერკვა ყველაფერში. ქალაქში პურის ნაკლებობა იგრძნობოდა, ახლოვდებოდა შიმშილობა.

გლეხები როგორც იყვნენ უმიწოდ, ისევე დარჩნენ. ხალხი კითხულობდა: ვინ აგვიხსნის ყოველივე ამას?

მხოლოდ ბოლშევიკები ამბობდნენ სიმართლეს, განმარტავდნენ, რომ დროებითი მთავრობა არაფერს მისცემს ხალხს, ეს მთავრობა მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობაა, აუცილებელია შეიქმნას მუშათა და გლეხთა მთავრობაო.

ამ პერიოდში უდიდესი პოლიტიკური მოვლენა გახდა სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობა. თითქმის მთელი ივნისის განმავლობაში (3-24 ივნისი, ძველი სტილით) პეტროგრადში, ვასილის კუნძულზე კადეტთა კორპუსის საჭმელ დარბაზში მიმდინარეობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის სხდომები. 1090 დელეგატი, მათ შორის 105 ბოლშევიკი, მონაწილეობდა ყრილობის მუშაობაში.

„არის ასეთი პარტია!“



70 წელი დიდი ოქტომბრის დროშით

ური შესაძლებლობისადმი რწმენის უნდობლობას შთაგონებდნენ, აშინებდნენ მათ ეროვნული კატასტროფით.

ყრილობის მუშაობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო 4 ივნისის საღამოს სხდომა, რომელზეც განიხილებოდა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხი.

ლენინი დიდი ყურადღებით უსმენდა მენშევიკთა ლიდერს ირაკლი წერეთელს, რომელიც მჭევრმეტყველურად ხატავდა იმ უბედურებას, თითქოსდა ქვეყანას რომ ელოდა, თუ მას მუშები და გლეხები დაეპატრონებოდნენ. ორატორი დელეგატებს მოუწოდებდა არ მოესმინათ ბოლშევიკებისათვის და დროებით მთავრობას ნდობით მოჰკიდებოდნენ. როგორც მსახიობმა სცენიდან, მან დარბაზში ისროლა ცნობილი ფრაზა: „ახლანდელ მომენტში რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც იტყოდა: მოგვეცით ხელისუფლება, წადით და ჩვენ დავიკავებთ თქვენს ადგილს“.

მენშევიკებმა აჩქარებით დაიკრეს ტაში თავიანთ ორატორს. მაგრამ ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა ძლივს მოასწრო ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ დარბაზის სიღრმიდან გაისმა — „არის ასეთი პარტია!“.

ეს სიტყვები მოწმენდილ ცაზე ელვის გავარდნას ჰგავდა: მან ბოლშევიკი დელეგატების მჭახარე ტაში გამოიწვია და შეაძრწუნა მენშევიკები და ესერები.

ზოგიერთი დელეგატი ფეხზე წამოდგა, ცდილობდნენ შეეხედათ იმისთვის, ვინც ესერებსა და მენშევიკებს ეს გამომწვევი სიტყვა შეაგება.

ეს, როგორც მაშინ უწოდებდნენ, გახლდათ „ყველაზე დიდი ბოლშევიკი“ — ვ. ი. ლენინი. იგი ჩქარი ნაბიჯით ტრიბუნისაკენ გაემართა.

სხდომის თავმჯდომარე დაბნეულად დასწვდა ზარს და დარბაზს წესრიგისათვის მოუწოდა. ტაში არ ცხრებოდა.

ლენინმა დარბაზს დაწყნარება აცადა და ყურადღება დარბაზში მსხდომ დელეგატ ბოლშევიკებს მიაპყრო. „...როგორც ამბობდა წინანდელი ორატორი, მოქალაქე მინისტრი ფოსტა-ტელეგრაფისა... რუსეთში არ არის ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოთქვამდა მზადყოფნას მთლიანად აიღო თავის ხელში ძალაუფლება. მე ვუპასუხებ: არის! არც ერთ პარტიას არ შეუძლია უარი თქვას ამაზე, და ჩვენი პარტიაც უარს არ ამბობს ამაზე: იგი ყოველ წუთს მზად არის მთლიანად აიღოს ძალაუფლება“.

მენშევიკები და ესერები ახმაურდნენ, ისინი მოითხოვდნენ, რომ ლენინს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ტრიბუნა. მაგრამ ამაოდ. როცა დარბაზი ცოტა დაწყნარდა, რევოლუციის დიდმა ბელადმა გაგრძელო თავისი ცნობილი სიტყვა: „...კაპიტალისტების მიერ ხალხის დოვლათის დატაცება გრძელდება. იმპერიალისტური ომი გრძელდება. ჩვენ კი გვპირდებიან რეფორმებს, რეფორმებსა და რეფორმებს, რომლებიც ამ ფარგლებში საერთოდ არ შეიძლება განხორციელდეს, რადგან ომი ყველაფერს თრგუნავს, ყველაფერს განსაზღვრავს...

რა არის კრიტერიუმი? უწინარეს ყოვლისა ის, თუ რომელი კლასი დგას ძალაუფლების სათავეში, რომელი კლასია ისევ ბატონპატრონი, რომელი კლასი იგებს ისევ ასეულ მილიარდებს საბანკო და ფინანსური ოპერაციების წყალობით? ისევ იგივე კაპიტალისტური კლასი, და ამიტომაც გრძელდება იმპერიალისტური ომი... საიდუმლო ხელშეკრულებანი საიდუმლოდ რჩება...

ჩვენი პირველი ნაბიჯი, რომელსაც განვახორციელებდით, ძალაუფლება რომ ხელს გვკონდეს, იქნებოდა: დავაპატიმრებდით უმსხვილეს კაპიტალისტებს, გავწყვეტდით მათი ინტრიგების ყველა ძაფს. უამისოდ ყოველი ფრაზა უანგესია და უკონტრიბუციო ზავის შესახებ ყოვლად ფუჭი სიტყვებია. მეორე ჩვენი ნაბიჯი ის იქნებოდა, რომ ხალხებს მთავრობებისგან ცალკე გამოვუცხადებდით, რომ ჩვენ ყაჩაღებად მიგვაჩნია ყველა კაპიტალისტი...“.

თავმჯდომარე მიმართავს ორატორს: „თქვენი დრო ამოიწურა“. ორატორი: „ნახევარ წუთში დავამთავრებ“.

დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუგრძელოთ რეგლამენტი!“

სხდომის თავმჯდომარე: „მოვახსენებ ყრილობას, რომ პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა გაგრძელდეს ორატორის გამოსვლის ვადა. ვინ არის წინააღმდეგი? უმრავლესობა სიტყვის განგრძობის მომხრეა“.

სიტყვას ლენინი მგზნებარე მოწოდებით ამთავრებს: „ხელისუფლების გადასვლა რევოლუციური პროლეტარიატის ხელში, უღარიბესი გლეხობის მხარის დაჭერით, არის გადასვლა რევოლუციურ ბრძოლაზე ზავისათვის უაღრესად უზრუნველყოფილ, უაღრესად უმტკივნეულო ფორმებში, როგორიც ეს სკოდნია კაკლორიობას, გადასვლა იმაზე, რომ რევოლუციური მუშების ძალაუფლება და გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც“.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის ამ ისტორიულ სხდომაზე ბრძენ ბელადს, 47 წლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინს გვერდით ედგნენ და ძალას მატებდნენ მისი ერთგული და გამბედული თანამებრძოლები — 38 წლის იოსებ სტალინი, რომელიც ვ. ი. ლენინთან ერთად მონაწილეობდა ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაში და რომელსაც მას შემდეგ 20 ივნისს ყრილობა ირჩევს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, 32 წლის იაკობ სვერდლოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის მუშაობას და სხვები.

საბჭოების ამ ყრილობაზე ლენინის ცნობილი რეპლიკა და მისი დაცვა XX საუკუნის ორატორული ხელოვნების ისტორიის მწვერვალად ითვლება. რუსეთს ცვლიდებენ სწყდებოდა. 4 ივლისს პეტროგრადში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც 500 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. ისინი მოითხოვდნენ: „ძირს 10 მინისტრი-კაპიტალისტი!“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“

ბოლშევიკები ცდილობდნენ შეეკავებინათ ხალხის სტიქიური აღტკინება, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ საამისო მომენტი ჯერ არ დამდგარიყო. მაგრამ ხალხის შეჩერება შეუძლებელი იყო. ბოლშევიკებმა ყოდწყვიტეს ხალხთან ერთად ყოფილიყვნენ. ისინი მშრომელთა მსვლელობას მშვიდობიან ხასიათს აძლევდნენ, რადგან არ შეიძლებოდა ხელისუფალთათვის პროვოკაციის საბაბის მიცემა.

ჩახმახი უკვე შემართული იყო. კონტრრევოლუციის ლაქიამ კერენსკის სროლის ბრძანება გასცა. გაისმა სროლის ხმა. ხალხის ხოცვა-ჟლეტას ხელმძღვანელობდა პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი პოლოვცევი.

შავრაზმელები ამით არ დაკმაყოფილდნენ. მათ გამოიყენეს ზამის სიბნელე და 5 ივლისს შეცვივდნენ „პრავდის“ რედაქციაში, დაარბიეს მისი შენობა. დაწვეს და ფეხით გათელეს ხელნაწერები, ქვდელს მიამსხვრიეს ხელით საბეჭდი მანქანა „უნდერვუდი“, დაგლეჯეს სატელეფონო გაყვანილობა, მელნით მოთხუპნეს ჭერი.

საბედნიეროდ, ლენინმა რედაქციაზე შავრაზმელების თავდასხმამდე ნახევარი საათით ადრე შემთხვევით დატოვა რედაქციის შენობა. მეორე დღეს ქუჩაში მოკლეს ივანე ვოინოვი, რომელიც „ლისტოკ პრავდას“ ავრცელებდა.

კონტრრევოლუციის თავაშვებული თარეში გრძელდებოდა. 6 ივლისს ღამით იუნკერები თავს დაესხნენ ქშესინსკის ქუჩაზე მდებარე სახლს, სადაც ბოლშევიკთა ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტები და სამხედრო ორგანიზაციის ბიურო იყო მოთავსებული. 7 ივლისს, ღამით დროებითმა მთავრობამ ბრძანება გასცა ვ. ი. ლენინის დაპატიმრებისა და მისი სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ლენინის დაჭერისათვის დანიშნული იყო დიდი ჯილდო. დამკვრელი ბატალიონის 50 ოფიცერმა საზეიმო ფიცი დადო, რომ ისინი ან დაიჭერდნენ ლენინს, ან თვითონ დაიხოცებოდნენ.

კონტრრევოლუციონერებს ნამდვილად ჰქონდათ ვ. ი. ლენინის მკვლელობის ავბედითი გეგმა. გენერალმა პოლოვცევმა, რომლის ბრძანებითაც ესროლეს მშვიდობიან მუშებსა და ჯარისკაცებს, რევოლუციური რუსეთიდან პარიზში გაქცევის შემდეგ გამოაქვეყნა მოგონებათა წიგნი „დაბნელების დღეები“, რომელშიც დაუფარავი ცინიზმით ყვება მშვიდობიანი პეტროგრადის შანიფესტაციის დახვრეტაში თავისი როლის შესახებ. წიგნში ვკითხულობთ: „ოფიცერმა, რომელიც ტორიოკში იმ იმედით მიემგზავრებოდა, რომ ლენინს დაიჭერდა, მკითხა, როგორ გსურთ ეს ვაჟბატონი ჩაგაბაროთ უვნებლად, თუ დაშლილი სახითო... მე ღიმილით ვუპასუხე, რომ დაპატიმრებულები ძალიან ხშირად ცდილობენ გაქცევას“...

დროებითი მთავრობის მეთაურმა კერენსკიმ დიდი თანხა აღუთქვა იმას, ვინც ლენინს ხელისუფალთ გადასცემდა.

ლენინის სიცოცხლე საფრთხეში იყო. უნდა გადაეწყვეტათ, გამოცხადებულიყო კონტრრევოლუციური სასამართლოში, თუ თვითაღიარებითი ჩვენებისათვის შეეფარებინა. ლენინმა თავდაპირველად იფიქრა გამოცხადებულიყო სასამართლოში ცილისმწამებლური ბრალდების სამხილებლად, შიშობდა, რომ სასამართლოში მისი გამოუცხადებელობა ზიანს მიაყენებდა პარტიის ავტორიტეტს მასებში. მაგრამ შემდეგ სტალინთან, ორჯონიკიძესთან, ნოგინთან, კრუპსკაიასთან, სტასოვასთან და სხვა ბოლშევიკებთან თათბირის შემდეგ, რომელიც ძველი პარტიელის სერგო ალილუევის ბინაში გაიმართა, ბელადმა უარჰყო თავისი ეს განზრახვა. ვლადიმერ ილიას ძემ აღნიშნა, რომ არავითარი საჯარო სასამართლო არ იქნება. სტალინმა დაამატა, „იუნკერები ციხემდე არ მიიყვანენ, გზაში მოკლავენო“.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია მოგონებებში წერდა, რომ როცა იგი ალილუევის ბინიდან გამოდიოდა, ვლადიმერ ილიას ძემ უთხრა: მოდი, დავემშვიდობოთ ერთმანეთს... შეიძლება, კვლავ ვეღარც კი შევხვდეთო, და ისინი ერთიმეორეს გადაეხვივნენ.

ყველა ღელავდა: ასეთ წუთებში მშვიდად როგორ იქნები?!

ალილუევების ბინიდან წასვლის წინ ლენინმა გარეგნობა შეიცვალა — გაიპარსა წვერი, შეიკრიჭა ულვაშები, ჩაიცვა მასპინძლის დაჭმუჭნილი და გახუნებული პალტო, დაიხურა კეპი, ისე რომ, ძნელად საცნობი შეიქმნა.

სტალინის, ალილუევის და მუშა ვ. ზოფას თანხლებით ლენინი ქვეითად წავიდა პრიმორსკის ვაგზლისაკენ. ვაგზლიდან ილიჩი მუშა ნ. ემელიანოვის თანხლებით საგაგრაკო მატარებლით სადგურ რაზლივამდე გაემგზავრა.

ვლადიმერ ილიას ძე ბოლო ვაგონის კიბის საფეხურზე იდგა, რათა საპირისპისოს შემლებოდა მოძმავი შემადგენლობიდან გადმოხტომა, მაგრამ ყველაფერმა კეთილად ჩაიარა: 1917 წლის 10 ივლისს, განთიადისას ბელადი რაზლივში ჩავიდა...

ფილიპე მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

„მთელი ბრიგადა სტადიონზე“, „მთელი ოჯახი — სტადიონზე“ — მასობრივი ღონისძიებანი ასეთი დევიზით სულ უფრო მეტად მკვიდრდება საჩხერისა და ორჯონიკიძის რაიონებში. დღეს ამ რაიონების პრაქტიკულად ყოველი მესამე მცხოვრები ჩაბმულია ფიზკულტურულ-სპორტულ მეცადინეობაში. თითქოს ურიგო მაჩვენებელი არ არის, მაგრამ იგი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, ნაკლოვანებანი რომ არ იყოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობაში, რომელიც წარმოებს მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და სპორტულ ნაგებობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

ეს ნაკლოვანებანი და მათი დაძლევის გზები გახდა განხილვის საგანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის სხდომაზე.

თუ გინდა ჯანმრთელი იყო

მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრულია გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებანი. საჩხერისა და ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, პროფსაბჭოს, რესპუბლიკის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს რჩევა მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული პროგრამა მოსახლეობაში მთელი ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სხდომაზე განხილეს დეპუტატ ბ. ლაპინის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება კომისიის გადაწყვეტილება „მშრომელთა საკურორტო და სამედიცინო მომსახურების კომპლექსის მართვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე“.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. პატიაშვილმა.

(საკინფორმი).

დედობის ბედნიერების ფვირფი

ჩვენი საარჩევნო პრაქტიკის ისტორიაში პირველად ქუთაისის ავტოქარხნის მიკრორაიონის მცხოვრებლებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს დიასახლისი — ათი შვილის დედა ნინო ნაცვლიშვილიკაკაბაძე.

კრება ტკბილად დაიწყო, თითქოს გაკვალულ გზას მიჰყვებოდა. როგორც მიღებულია ასეთ შემთხვევებში, ორატორები კანდიდატის მარტოოდენ „სადღეგრძელობს“ ამბობდნენ: ჩინებული დედაააო, ხუმრობა ხომ არ არისო ათი შვილის გაზრდა, თანაც წვრილი შვილებისა; გულისხმიერი მეზობელი და სანიმუშო ცოლიაო. და უეცრად ამ შეხმატკბილებულ გუნდში დისონანსად გაისმა შუახნის ქალის შეკითხვა: ჩვენს საქმეებს როდისღა მიჰხედავს? ნეტა თავის საბავშვო ბაღს გაართვას თავი. სადა სკალია დეპუტატობისთვის?

ამ ხმამ თითქოს ჭამოადგეზლა შეკრებილნი. მართლაც, კიდევ ერთ ეგრეთ წოდებულ „საქორწილო დეპუტატად“ ხომ არ გადაიქცევა ნინო: დროდადრო ამა თუ იმ პრეზიდიუმს დაამშვენებს ხოლმე, ძირითადად კი ბალღებს საცვლები უნდა ურეცხოს, აბანაოს, აჭამოს, მოუაროს. დარბაზში ქალები უფრო მეტი იყვნენ, ყველას შვილები ჰყავს, ყველამ იცის, რას ნიშნავს ჩვილის მოვლა. თანაც ათისა! და თუმცა ყოველი მათგანი კეთილი ღიმილით ხვდებოდა ნინოს, როცა მოჭრიამულე ბავშვებით გარშემორტყმული დილით ბაღში მიდიოდა, ან საღამოს შინ ბრუნდებოდა, მაგრამ განა ამის გულისთვის შეიძლება ადამიანი დეპუტატად აირჩიო? ამისთვის არსებობს ორდენი, სიგელები, უამრავი სხვა რამ, რითაც საზოგადოება თავის პატივისცემას და მადლიერებას გამოხატავს წვრილშვილიანი დედისადმი. დეპუტატობა კი, რაც უნდა იყოს, მუშაობაა, და არა თანამდებობისა თუ პიროვნების დანართი, რასაც სამწუხაროდ, ისე ხშირად ვივიწყებთ, რომ ასეთი რამ ნორმალური მოვლენა გვგონია.

ძნელი სათქმელია, როგორ დამთავრდებოდა კრება (ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში კრება ხშირად გადასცდებოდა ხოლმე ორგანიზატორებისგან გათვალისწინებულ კალაპოტს; იმავე ქუთაისში, მაგალითად, „ზემოდან“ შემოთავაზებული ცხრა კანდიდატურა უარყვეს), მაგრამ წამოდგა მეორე, შედარებით ახალგაზრდა ქალი და ლამის მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. „ჩვენ მეზობლად ვცხოვრობთ, — თქვა მან. — ჩემი თვალით ვხედავ, როგორ პატივს სცემენ ნინოს. ქალაქისა და რაიონის მთელ უფროსობას იცნობს. ეზოში მოედანი მოგვიწესრიგეს, ეს მაგის დამსახურებაა, თორემ ბავშვებს სათამაშო ადგილი არსად ჰქონდათ. თვითონ ნინომ გვითხრა, მიკროსაბჭოს ვთხოვ ეზო შემოგვიღობონო, თორემ ბავშვები ქუჩაში გარბიან, იქ კი მანქანების ორომტრიალია. ჰოდა, თუ დეპუტატად ავირჩევთ, მაშინ კი აღარ ითხოვს, მოითხოვს. თავის შვილებისთვისაც და ჩვენებისთვისაც“.

რაგინდ გაგიკვირდეთ, ამ პრაგმატიკულმა საბუთმა კრებაზე, შეიძლება ითქვას, ჯადოსნური ზემოქმედება იქონია. დიახ, უფროსობა — ქარხნისაც, რაიონისაც, ქალაქისაც — ახალგაზრდა ნინოს კარგად იცნობს. და მაინც, ჩვენს დროში ოჯახში ათი შვილი დიდი იშვიათობაა. აი, 220-ათასიან ქუთაისში ესეც ექვსი ასეთი ოჯახია. მათთვის საგანგებოდ ზრუნავენ. ნინოს არავითარი დავიდარაბა არ სჭირდება იმისთვის, რომ ხელმძღვანელობამ მიიღოს. პარტიის ავტორიტეტის რაიკომის პირველი მდივანი სერგო კურტანიძე ხშირად თვითონ დადის მასთან სტუმრად.

სურათზე: ნინო თავის შვილებთან ერთად.

გამოცდილების მისამართები

„მიენიჭოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება შეემნინონ დარგთაშორისი და მეურნეობათაშორისო ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანებები და შეიიგანონ მათს შემადგენლობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები“, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის ივლისის დადგენილებაში „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

ჩვენი გაერთიანება ორი წლის წინათ შეიქმნა. არსებობის პირველი დღეებიდანვე მისმა კოლექტივმა მთავარ ამოცანად დაისახა ქალაქის საწარმოების, გაერთიანებების, უწყებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიული დაგეგმვის ძირეული გაუმჯობესება, საწარმოო სიმძლავრეთა რეზერვების მთლიანი ამოქმედება, ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოება, ნედლეულის, მასალების, სათბობ-ენერგეტიკული, მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, სასურსათო პროგრამის მიზანდასახული რეალიზაცია და, რაც მთავარია, წამოჭრილი პრობლემური საკითხების ოპერატიული გადაწყვეტა, რაც პარტიის საქალაქო კომიტეტს გაათავისუფლებს სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისაგან.

გაერთიანებამ გარკვეული გამოცდილება შეიძინა რეგიონალური დაგეგმვისა და ანალიზის საქმეში. იგი განიხილავს საწარმოო ორგანიზაციათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების პროექტებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროდუქციის ხარისხს, აგრეთვე ძირითადი მაჩვენებლების ზრდის ტემპის დაცვას საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებთან შესაბამისად, საწარმოების შეკვეთებით, ნედლეულით, მატერიალური და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფას.

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით შეკრიბეს და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განსახილველად წარუდგინეთ ქალაქის სოციალური განვითარების გეგმა 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის. მისმა განხილვაელებამ ხელი უნდა შეეწყოს იმ დისპროპორციების აღმოფხვრას, რომლებიც ქალაქის საწარმოო ძალების ზრდის ტემპსა და სოციალურ ინფრასტრუქტურის განვითარებას შორის არსებობს.

პრაქტიკაში დაენერგო აგრეთვე გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისგან მიღებული გეგმების პროექტების ძირითადი მაჩვენებლების ბაზაზე ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყოველწლიური გეგმების პროექტების შედგენა და საქალაქო საბჭოს სესიაზე დამტკიცება. ამ გეგმებისა და ურთიერთხელშეკრულებათა საფუძველზე მჭიდრო კავშირი დავამყარეთ ქალაქის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ვაძლევთ მათ სათანადო რჩევებსა და რეკომენდაციებს. საფუძვლიანად შევისწავლეთ და გავანალიზეთ საწარმოო გაერთიანებების „ქიმბოჭკოსა“ და „აზოტის“, ფოლად-თუჯსამსხმელო და რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნების, სამენ მასალათა კომბინატის, პურკომბინატის საწარმო-ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობა, გამოვავლინეთ და ავამოქმედეთ შინაგანი რეზერვები, მოვაწესრიგეთ ამ საწარმოების მასალებითა და ნედლეულით მომარაგება. ამის შედეგია, რომ წლობით ჩამორჩენილმა საწარმოო გაერთიანებებმა „აზოტმა“ და „ქიმბოჭკომ“ დაძლიეს სიძნელენი, ხოლო ქალაქის სხვა საწარმოებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ჩვენი მუშაობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების შესრულების კონტროლი, მისი ხარისხის განუხრელი გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება ძირითადად ნარჩენებისა და მეორეული რესურსების გამოყენების ხარჯზე. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგად ქალაქის საწარმო-დაწესებულებებმა უკანასკნელ ხანებში აითვისეს 22 დასახელების ისეთი ახალი ნაწარმი, რომლებიც მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეიეთ ზენორმატიული მასალებისა და ნედლეულის, ზედმეტი დანაგებარებისა და ჩაწოლილი მზა პროდუქციის გასაღება-გადანაწილებისათვის. გაერთიანების უშუალო მონაწილეობით და ნებართვით მოკლე ხანში ხელახლა გავანაწილეთ და გავასაღეთ 50 ათასი მანეთის ღირებულების მასალები და მატერიალური ფასეულობანი. აქვე უნდა ითქვას, რომ ფართო მოხმარების საქონლის დაგეგმვის სისტემა, ჩვენი აზრით, არ არის სრულყოფილი, მისი ასორტიმენტი და მრავალფეროვნება ვერ ითვალისწინებს რეგიონისა და დარგის მოთხოვნებს. ჯერჯერობით საწარმოებს ვთავაზობთ და ვგეგმავთ ერთს, მათი ზემდგომი ორგანოები კი სხვა რამეს გვთავაზობენ. არ არის აგრეთვე გათვალისწინებული ბაზრის კონიუნქტურა, მისი კანონზომიერება — დაგეგმა-მოთხოვნილებების მიხედვით. ამ საკითხში უფრო მეტი მუშაობა და კავშირი გვქონდეს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან და გაერთიანება „საქმრეწველცენტრდანერგვასთან“, რადგან მხოლოდ მათთან შეთანხმებით შეგვიძლია გავითვალისწინოთ ფართო მოხმარების საგნების საჭირო ასორტიმენტი და რაოდენობა. ამ მიმართულებით კიდევ გადავდგით ნაბიჯები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ შემუშავებული მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამები „ხარისხი“ და „პრესტიჟულობა — 90“, რომელთა განხორციელების შედეგად მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ქალაქის საწარმოებში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოება გაიზრდება 100 მილიონი მანეთით.

ამჟამად მუშავდება ქალაქის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომლის ქვესისტემებია შრომითი რესურსები, წყალმომარაგება, თბოფიკაცია, ტრანსპორტი. შემდგომში ამას დაემატება ქალაქის სახალხო მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცენტრალიზებული კონტროლისა და პროგნოზირების ქვესისტემაც. გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს მართვის ავტომატიზებული სისტემა „კადრების“ დასანერგავად. კერძოდ, შევიმუშავეთ და ქალაქის ყველა ორგანიზაციას დავურიგეთ სპეციალური ფორმები, რომელთა შევსებისა და დამუშავების შედეგად მივიღებთ ზუსტ ინფორმაციას ქალაქის საწარმოებში კადრების დენადობა-მოძძაობის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს ეფექტიანად ვმართოთ შრომითი რესურსების გადანაწილება. ამ საქმეში ადგილობრივ საბჭოებს ეკისრებათ. საქალაქო აღმასკომში სპეციალური ნუსხა უნდა შეადგინონ, თუ რა არის მთავარი ქალაქის ცხოვრებაში, და პირველ ადგილზე ბავშვების კვებას ჩავწერდი. თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იქნა, მაშასადამე, აღმასკომს კარგად უმუშავია, არა და — მაშინვე უნდა მოიხსნას თავმჯდომარე. არავითარი საყვედური, არავითარი გაფრთხილება — მაშინვე უნდა მოიხსნას.

— ერიაა, — გავიფიქრე მე, — კარგ დღეს დააყრის ასეთი დეპუტატი საქალაქო აღმასკომს..

მაგრამ განა თვითონ ნინოს იოლი ცხოვრება აქვს? რამდენ ახალგაზრდა დედას ვიცნობთ, ჰოდა, თითქმის ყველა ასეთია: ერთი შვილი და შვიდი ძიძა, და მაინც სულ ჩივიან — ვაიმე, როგორ გვიჭირსო, მეორეს რა გამაჩენინებსო. ნინო კი მარტოკა უვლის ათ ბავშვს. როცა ვკითხე, უფროსი შვილები არ გეხმარებიან-მეთქი, გაეცინა, სად არიან უფროსები? ნატო მეოთხე კლასშია, გიორგი — მესამეში, იგორი — მეორეში, აი, ესენი არიან ჩემი უფროსები. ორი-სამი წლის შემდეგ ალბათ ნაკლებად გამიჭირდება, მაგრამ ჯერჯერობით...

ნინომ ილაპარაკა კიდევ ერთ სიძნელეზე, რომელსაც გადააწყდა და ძალზე ატკინა გული. როცა თხოვდებოდა თვრამეტი წლისაც არ იყო, ტექნიკუმის უკანასკნელ კურსზე სწავლობდა. როცა დაამთავრა, ფეხმძიმედ იყო მეხუთე თვეზე, ცხადია ვერ იმუშავებდა. მერე კი ზედიზედ მოჰყვა ბავშვები, 1980 წელს ტყუპი ეყოლა — ლელა და ლაშა. ნაბოლარა ალიკოს ახლახან შეუსრულდა წელი. მაშასადამე, აი, უკვე თორმეტი წელია ნინო არსებითად განუწყვეტლივ დეკრეტულ შვებულებაშია. პირველ მშობიარობამდე ერთი დღეც რომ ემუშავა, მთელი ამ წლების მანძილზე დეკრეტულს მიიღებდა, ახლა კი — არაფერი. თუ არ ჩავთვლით დახმარებას: სულ თვეში 80 მანეთს. დაგეგეთანხმეთ, დიდი არაფერი ფულია.

— მე მგონია, გვითხრა ნინომ, — ყოველ ქალს, სულ ერთია, უმუშავია თუ არა, ყოველი ორსულობა და ბავშვის მოვლაც კი უნდა ავუნაზღაუროთ...

მე მგონია, მართალი უნდა იყოს, ქალი ხომ მარტო თავის შვილს კი არ დაატარებს მუცლით და შემდეგ ძუძუს აწოვებს, არამედ ქვეყნის მოქალაქესაც: მომავალ მუშაკს, მომავალ სამშობლოს დამცველს, მომავალ დედას. ჩვენს დროში, ჩვეულებრივ, ქალებს პირველი მშობიარობა შედარებით გვიან აქვთ — 22-23 წლის ასაკში, ანუ როცა ფეხზე დადგება, უმაღლესს დაამთავრებს და საშუალზე მოეწყობა. მაგრამ იქნებ ამის მიზეზიც სხვა რამე იყოს, ვთქვათ მატერიალური ხელმოკლეობა? ალბათ, რამდენადმე ასეც არის. მაშინ, მართლაც ურიგო არ იქნება, ეს წესი, რომელსაც ნინო ნაცვლიშვილი-კაკაბაძე გვთავაზობს, თვეშიდაპირველად თუნდაც იმ რეგიონებში შემოვიღოთ, სადაც შობადობა მკვეთრად არის დაქვეითებული. ან შევქნათ დახმარების ფონდი, რომელშიც ყველანი მივიღებდით მონაწილეობას. განა სამართლიანია, რომ ოჯახი, რომელმაც სამშობლოს სამი ბოგორნა და შვიდი ვაჟი შესძინა, სიღარ

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐ: ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲯᲚᲣᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ VIII ᲡᲐᲧᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ. ᲡᲐᲥᲐᲜᲗᲝᲠᲗᲐᲡ ᲙᲝᲠᲘᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡ, ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ Გ. Გ. ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔᲡ ᲙᲐᲠᲘᲠᲘᲡᲮᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲜᲨᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲣᲠᲝᲗᲗᲘᲛᲫᲦᲕᲐᲠᲗᲐ ᲨᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ.

— ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲫᲐᲚᲐᲡ ᲘᲫᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ, — ᲗᲥᲕᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ. — ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲛᲪᲘᲪᲔᲓ ᲘᲫᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐᲡᲐᲪ.

— რა არის ამგვარი მოვლენების წარმომშობი მიზეზები?

—სავსებით ცხადია, რომ ქარხნული სახლთმშენებლობის გზას თუ არ დავადგებოდით, ვერ მივუახლოვდებოდით საბინაო პრობლემის გადაწყვეტას. მაგრამ ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაბატონებულმა როლმა გამოიწვია არქიტექტურის მხატვრულ-სახოვანი შინაარსის მკვეთრი დაქვეითება. ინდუსტრიული ბაზის ცალმხრივ განვითარებას, რომელიც ძირითადად დიდპანელიან სახლთმშენებლობას ეყრდნობა, ტიპობრივი, გაუპიროვნებული (არა გონივრულად ჩაფიქრებული ტიპობრივი) პროექტების მოძალებას, საპროექტო-სამშენებლო ნორმებისა და წესების რეგლამენტაციას, ბუნებრივ-კლიმატური პირობების სპეციფიკის შეუფასებლობას, საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების არასაკმარის ასორტიმენტს, მხატვრული გაფორმებისა და ლანდშაფტური ორგანიზაციის უკმნლობას მოჰყვა ერთფეროვნება, უსახურობა და, საბოლოო ანგარიშით, ის, რომ ქალაქებმა, განსაკუთრებით ძველმა ქალაქებმა, დაკარგეს დამახასიათებელი თავისებურებანი.

— როგორ დავძლიოთ ეს პრობლემები?

— შექმნილი სიტუაციაც მოითხოვს საპროექტო-სამშენებლო საქმის ძირეულ გარდაქმნას, არქიტექტურისა და მშენებლობის ურთიერთკავშირის შეცვლას, არქიტექტორის პროფესიისა და მთლიანად არქიტექტურის პრესტიჟის ამაღლებას, თვითკრიტიკულ შეხედულებას დარგში დღევანდელ საქმის ვითარებაზე. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს არქიტექტორთა კავშირმა.

საერთოდ დადებითად შეფასდა რა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მუშაობა კავშირის საზოგადოებრივ-შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტიანობის გადიდებისათვის, როგორც ეს აღინიშნა რესპუბლიკის ხუროთმოძღვართა XII ყრილობაზე, უნდა ითქვას, რომ საკმარისი არ არის გამგეობის, კომისიების, სექციების მიერ განხორციელებულ შემოქმედებითს ღონისძიებათა პრაქტიკული შედეგიანობა, სუსტად ვიყენებთ მიღებულ გადაწყვეტილებათა დროული შესრულებისადმი, არქიტექტორთა ოსტატობის დონის ამაღლებისადმი ქმედითი კონტროლის ბერკეტებს.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის დარგში ძირეული ცვლილებები ეხება ფართო წრის სოციალურ, ეკონომიკურ, ტექნიკურ და მხატვრულ პრობლემებს. იმედი გვაქვს, რომ არქიტექტორთა საკავშირო ყრილობა დასახავს ბევრი მთავარის გადაწყვეტის კონკრეტულ ამოცანებს, საქმისადმი კონსტრუქციული მდგომით ხელს შეუწყობს ქვეყანაში არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესის მტკიცე გარდაქმნას.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ.

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ.

ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲬᲡᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ: ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲗᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ „ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲧᲕᲚᲐ ᲣᲞᲐᲠᲘᲡᲔᲚᲘᲡᲐᲝᲗᲝ. ᲛᲬᲕᲐᲠᲔ ᲐᲛᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲔᲑᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡᲖᲔ ᲒᲐᲛᲘᲛᲢᲐᲜᲐ ᲖᲝᲒᲐᲠᲘᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲮᲓᲐᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲗᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡ, ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ „ᲯᲐᲠᲘᲤᲐᲠᲐᲓ“ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲚᲚᲘ ᲮᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲣᲠᲔᲑᲡ, ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲮᲓᲐᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲗᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ

ორიოდ სიტყვით

◆ ᲤᲘᲒᲜᲘ ხაღხის სულიერი ცხოვრების მაჩვენებელია. მისი იდეური შინაარსი, პოეტიკა-ფიგურული შესრულება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

ახლახან მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა პრემიერა მეოთხე კონცერტისა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, რომელიც კომპოზიტორის ერთ-ერთი ახალი თხზულებაა. მას დიდი წარმატება ხვდა მინსკსა და კიევში, სანამ დედაქალაქში შესრულდებოდა.

მოსკოვში სახელმწიფო მცირე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სსრ კავშირის სახალხო არტისტის იური სიმონოვის დირიჟორობით სოლო შეასრულა საქართველოს სახალხო არტისტმა, საერთაშორისო კონკურსების დაურეატმა მარინე მდივანმა, რომელიც, სპეციალისტების აზრით, ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ინტერპრეტატორია. დედაქალაქში გამართულმა პრემიერამ, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, შემოქმედებითი სიხარული მიანიჭა შემსრულებლებსაც და მსმენელებსაც.

◆ ᲔᲡ უჩვეულო კონცერტი გაიმართა ქუთაისის მედიტონ ბაღაჩრიკაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, სადაც სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ქასარაშვილმა მიიღო საშუალო ვოკალური განათლება. მისი პედაგოგი იყო ცნობილი ვოკალისტი ა. მამუკელაშვილი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უწინასწარმეტყველა თავის მოწაფეს დიდი მომავალი. ცნობიერმა ამერიკელმა კომპოზიტორმა ლეონარდ ბერნსტაინმა მომღერლის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული გასტროლების შემდეგ თქვა: „მის ხმას პრაქტიკულად განუსაზღვრელი შესაძლებლობები აქვს“.

სასწავლო დარბაზში, სადაც თავის ღიროზე გაუბედავად ყლერდა ნიჭიერი გოგონას ხმა, პედაგოგები და მომავალი კოლეგები გულთბილად შეხვდნენ უკვე სახელგანოქმულ მომღერაღს.

მ. ქასარაშვილმა ღამსწრეთ გაუზიარა თავისი შემოქმედებითი გეგმები.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲛᲝᲓᲣᲚᲘ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66,10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ; ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-37-61, ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ — 99-37-84, ᲡᲐᲠᲔᲚᲘᲜᲓᲘᲜᲒᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲪᲘᲡ — 99-22-93, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲡᲘᲮᲝᲚᲝᲒᲘᲐ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲗᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲡ — 93-16-90, ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-68.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲝᲩᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ—2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲦᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲘᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲤᲘᲗᲔᲚᲣᲚᲘ ᲨᲣᲠᲘ — 23-66; ᲑᲣᲘᲪᲐᲣᲚᲘ — 25-82; ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ — 45-32.

„ᲡᲐᲬᲘᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ

ᲐᲗ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის განათლების დარგის მუშაკებისათვის ქალაქ ტყიბულის ზონის თვალწარმტაც ადგილას ერთ-ერთ ორსართულიან შენობაში დაარსდა დასასვენებელი სახლი „საწირე“. ეს სახელწოდება ამ გამაჯანსაღებელმა დაწესებულებამ მიიღო სოფლიდან, რომელიც ოდითგანვე შესანიშნავ საბალაკო ადგილად არის ცნობილი. ორი წლის წინათ კურორტს სამი რვაბინიანი კოტეჯის ტიპის სახლი შეემატა, რამაც ერთგვარად გაამდიდრა იგი საძინებელი ადგილებით.

ბუნებრივი მონაცემებით, საწარე უნიკალური სამკურნალო კურორტია. მთისა და ზღვის შერეული ჰაერი შესანიშნავად მოქმედებს ადამიანის სასუნთქ სისტემაზე. სულ რამდენიმე სეზონში კურნავს ბრონქულ ასთმას და ფილტვების ქრონიკულ ანთებას. ამიტომ დასასვენებელი სახლის მომატებული ნაწილი დედათა და ბავშვთათვის არის განკუთვნილი. თავდაპირველად „საწირეში“ 76 კაცი მკურნალობდა. ახლა დამსვენებელთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა და 140 გახდა. ეს კურორტის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს.

ამ ცოტა ხნის წინ დასვენების ამ კერას ვესტუმრეთ, ვესაუბრეთ მის მუშაკებს.

— დასანანია, რომ ბუნების მიერ ასე უხვად დაჯილდოებული კურორტი მარტო სეზონურად შუშაობს, — გვითხრა დასასვენებელი სახლის დირექტორმა მ. ცირეკიძემ, — აქ საკურორტო სეზონი ივნისში იხსნება და სექტემბრის დამლევს იხურება.

დასასვენებელ სახლს კი შეუძლია მთელი წლის განმავლობაში იმუშაოს, ამისათვის საჭიროა მხოლოდ ცენტრალური გათბობის ამუშავება, მაგრამ ეს აქ რატომღაც ძნელი მოსაგვარებელი გახდა. კურორტის ტერიტორიაზე მშენებლებს ერთ დროს ახალი საქვაბე მეურნეობა აუგიათ, რომელიც 120 ათას მანეთამდე დამჯდარა, მაგრამ იგი ვერ აუმოქმედებიათ. შარშანწინ, როგორც გვითხრეს, ზამთრის პერიოდში აქ საგზურებით კიდევაც მოსულან დამსვენებლები, მაგრამ უკან გაბრუნებულან. ამ შემთხვევამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა კურორტის დირექცია. იქნებ წელს მაინც გამოუჩნდეს კურორტს გულშემატკივარი, რომელიც გაუქმებულ საქვაბეს აამუშავებს და ზამთარში დასვენების მსურველთ გაახარებს.

ახლა საწირეში ახალი დასასვენებელი სეზონის წინა დღეებია. რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს მიმდინარე სარემონტო სამუშაოთა ტემპი, მშენებელთა ბრიგადებმა უკვე შეაკეთეს ძირითადი საცხოვრებელი კორპუსის სახურავი, რომელიც ზამთარში, დიდთოვლობის დროს დაზიანდა. ახლა ჯერი წვიმის წყლისაგან დაზიანებული ოთახების კედლების აღდგენაზე მიდგა, მაგრამ არა აქვთ საკმარისი ქაღალდის შპალერი და ეს აფერხებს საქმეს. დრო კი არ ითმენს, შენობის მეორე სართულზე შესაცვლელია ოთხი ფანჯარა.

განსაკუთრებით დიდი მოცულობის სარემონტო სამუშაოებია შესასრულებელი სასადილოში. აქ უნდა აიყაროს 200 კვადრატული მეტრი დაზიანებული იატაკი და მის მაგივრად დაიგოს გრანიტის გაპრიალებული ფილები. საქმე დაწყებულია, მაგრამ სასურველია ტემპის დაჩქარება. შემკეთებელთა ბრიგადამ სამუშაო დღის არც ერთი საათი არ უნდა გაატაროს. საქმე დიდად მოიგებდა, თუ მოეწყობოდა ორცვლიანი მუშაობა. სასადილოსა და კლუბის ბრტყელი სახურავის შეუკეთებლობა დაუშვებელია, ეს საჩქარო სარემონტო სამუშაო აქ უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ კურორტის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა ტოლისა და სხვა საჭირო მასალების შეძენა-შემოზიდვა. საძინებელი ოთახების ზოგიერთ კარში ჩასასმელია გასაღები. ზოგან მეტლახის ფილები დაზიანებულია და სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს, საძინებელი კორპუსის წინ დასაგებია ასფალტი.

დასასვენებელ სახლს საკმაოდ დიდი ეზო აქვს. ოთხი წლის წინათ მისი შემოღობვა წყალტუბოს კურორტმშენის სამშენებლო-სარემონტო უბნის კოლექტივმა ითავა, გააფორმა სათანადო ხელშეკრულება, მაგრამ მშენებლებს მოთმინებამ უმტყუნა, საქმე ნახევარ გზაზე მიატოვეს და მერე საწირეში არ გამოჩენილან.

კიდევ ერთი მოსაგვარებელი საკითხი. კურორტის ტერიტორიაზე ამ ორი წლის წინათ საწირის კოლმეურნეობამ წამოიწყო სპორტული მოედნის მშენებლობა. მოზიდეს დიდძალი ხრეში და მიწა. ახლა საჭიროა მისი მოსწორება, მოედნის ვაკისის მოწყობა, მაგრამ მშენებლები არ ჩანან, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა საწირელმა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა უნდა ითავონ. დამსვენებლები, ალბათ, უკმაყოფილო იქნებიან სატელეფონო კავშირის მოუგვარებლობის გამო. აქ ამჟამად არც რადიოწერტილია წესრიგში. ამ საქმეს კავშირგამბულობის ტყიბულის განყოფილებამ დროულად უნდა მიხედოს. ოსტატის ხელს ელოდება გაფუჭებული მაცივარი, რომელიც ძირითადი კორპუსის მეორე სართულის დამსვენებლებს ემსახურება. კურორტს არ ჰყოფნის სასმელი წყალი. საქმე ის არის, რომ წყალს დასასვენებელი სახლი და მთელი სოფელი იღებს ტყიბულის ჩაის, ფაბრიკის საუწყებო წყალსადენიდან. როცა ფაბრიკა არასრული დატვირთვით მუშაობს, მაშინ სასმელი წყალი დამსვენებლებისა და სოფლის მოსახლეობისათვის მეჩაიეებს არ ენანებათ. მაგრამ არის პერიოდი, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა წყალი საწარმოს აგრეგატებსაც არ ჰყოფნის. ამ დროს ფაბრიკა დამსვენებლებს წყლის დებიტს უზღუდავს. უწყლობა უხერხულ მდგომარეობაშია აგდებს კურორტის ადმინისტრაციას. აქ იძულებული არიან გადავიდნენ ჭას წყლის გამოყენებაზე ან ავტოცისტერნებით შემოზიდონ იგი შორი მანძილიდან. ეს აძვირებს დამსვენებელთა თვითმმსახურებას, მძიმე ფინანსურ გაჭირვებაში აგდებს კურორტს.

წყლის პრობლემის მოგვარება იოლად შეიძლება, თუ დაჩქარდება სოფელ საწირისათვის ახალი საკუთარი წყალსადენი ქსელის მშენებლობა. ამ გზაზე გადადგმულია პირველი ნაბიჯი. უკვე არსებობს სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაცია — პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ახლა ჯერი მშენებელ ორგანიზაციაზეა.

კარგი ჩანაფიქრი აქვთ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო საბჭოს ხელმძღვანელებს. თამკურორტის ტერიტორიაზე დაგეგმეს ახალი ოთხსართულიანი 130-ადგილიანი სანატორიუმის კომპლექსის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 880 ათასი მანეთია. ამ ახალი გამაჯანსაღებელი კორპუსის აგება წელს უნდა დაიწყოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში საწირეს ახალი დასასვენებელი სახლის ტიპობრივი ნაგებობა დაამშვენებს.

ახალი სეზონის დაწყების წინ აქ სხვა ნაკლოვანებები და სატკივარიც არის, მაგრამ კურორტის დირექცია მომსახურე პერსონალთან ერთად ყველაფერს იღონებს დამსვენებელთა სანიმუშო მომსახურებისათვის.

ᲗᲘᲜᲐ ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ,

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ᲚᲔᲠᲘ ᲮᲐᲑᲔᲚᲝᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡᲐ



ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲘᲡᲐ თავისუფალ ჭიდაობაში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე შთამბეჭდავად იასპარეზა თბილისელმა ლერი ხაბელოვმა. მან 100 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ყველა მეტოქეს გადაუწყვიტა წარმატების იმედი, სსრ კავშირში უძლიერესის წოდებას დაეუფლა და, ცხადია ჩემპიონის ოქროს მედალიც დაისაკუთრა.

დანარჩენ წონითს კატეგორიებში ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს კრასნოიარსკელმა ს. კარამჩაკოვმა (48 კგ), ორჯონიკიძელმა ვ. ტოგუზოვმა (52 კგ), მახაჩყალელმა რ. ყარაევმა (74 კგ), მოსკოველმა ხ. ისაევმა (62 კგ), კრასნოიარსკელმა ა. მაჰმედოვმა (68 კგ), გროზნელმა ა. ეარაევმა (74 კგ), კრასნოიარსკელმა ვ. მოდოსიანმა (82 კგ), ტაშკენტელებმა მ. ხადარცევმა (90 კგ) და ა. ხადარცევმა (130 კგ-მდე წონა).

საქართველოს სპორტსმენთაგან კიდევ სამმა მოჭიდავემ მოიპოვა საპრიზო ადგილები: ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ დავით გოგეჯიშვილი (მძიმე წონა) და ზურაბ ტატუაშვილი (52 კგ), ბრინჯაოსას — ზაზა ტყეშელაშვილი (100 კგ.). ჩვენი რესპუბლიკის სხვა ათლეტებიდან ზაზა თურმანიძე და გია გალდავა (ორივე — მძიმე წონა) შესაბამისად მეხუთე-მეექვსე ადგილებზე გამოვიდნენ.

გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა პირველი ადგილი დიაკავა, ბელორუსთამ — მეორე, საქართველოს ნაკრებმა — მესამე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ლერი ხაბელოვი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲐᲕᲚᲘᲚ კვირა დღეს ოთხმა „დინამომ“ ითამაშა: თბილისის, მოსკოვის, კიევისა და მინსკის თანაკლუბელმა ფეხბურთელებმა. თუ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში, რომელიც მოსკოველ დინამოელებთან თბილისში გაიმართა, შაჯინძლებმა რის ვაი-ვაგლახით ერთი ქულა მოიპოვეს (1:1), მოსკოვში კიეველებმაც და მინსკელებმაც საკავშირო თასისათვის ფინალურ მატჩში შთამბეჭდავი და წარმტაცი თამაში გვიჩვენეს. ამ შემთხვევაში იყო ყველაფერი ის, რაც აგრერიგად აღელვებთ და მოსწონთ ფეხბურთის ქომაგებს: სწრაფი თამაში, მახვილგონივრული კომბინაციები, თავგანწირვა, ძირითად დროში 6 გოლი (3:3), დამატებითში — შეუპოვარი მეტოქეობა (0:0) და ბოლოს პენალტების სერია. მხოლოდ ამ ეტაპზე გამოვლინდა უძლიერესი და წლევანდელი თასის მფლობელი: კიევის დინამო! კიეველებმა პენალტების სერია თავის სასარგებლოდ დაამთავრეს (4:2) და მათი გამარჯვება ანგარიშით საბოლოოდ ასე გამოიხატა: 7:5. კიეველთა სასარგებლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მაშინ, როცა ძირითად დროში მატჩს აგებდნენ 1:3, ბოლომდე შეუპოვარი ბრძოლის უნარი გამოავლინეს და მდგომარეობა გააწონასწორეს. ამრიგად, კიევის „დინამო“ მეშვიდედ დაეუფლა თასს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მოსპარეზე საქართველოს გუნდებმა მეთექვსმეტე ტურის მატჩები შინ გამართეს: ქუთაისის „ტორპედომ“ დაამარცხა ვოლგოგრადის „როტორი“ ანგარიშით 1:0, ასეთივე შედეგით მოუგო შეხვედრა ბათუმის „დინამომ“ ვორონეჟის „ფაკელს“, თექვსმეტი ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულში არიან ოდესის „ჩერნომორეცი“ — 25 ქულა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 21 და ნიკოპოლის „კოლოსი“ — 20. ქუთაისის „ტორპედო“ 13 ქულით მეთხუთმეტე ადგილზეა. ბათუმის „დინამომ“ 11 ქულა დააგროვა და ბოლო, ოცდამეორე ადგილიდან მეოცეზე გადაინაცვლა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს საკავშირო ჩემპიონატში მოსპარეზე საქართველოს გუნდებმა მეთექვსმეტე ტურის მატჩები შინ გამართეს: ქუთაისის „ტორპედომ“ დაამარცხა ვოლგოგრადის „როტორი“ ანგარიშით 1:0, ასეთივე შედეგით მოუგო შეხვედრა ბათუმის „დინამომ“ ვორონეჟის „ფაკელს“, თექვსმეტი ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულში არიან ოდესის „ჩერნომორეცი“ — 25 ქულა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 21 და ნიკოპოლის „კოლოსი“ — 20. ქუთაისის „ტორპედო“ 13 ქულით მეთხუთმეტე ადგილზეა. ბათუმის „დინამომ“ 11 ქულა დააგროვა და ბოლო, ოცდამეორე ადგილიდან მეოცეზე გადაინაცვლა.

ᲡᲐᲨᲐᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ქალაქ ტულაში დამთავრებულ იუნიორ ფეხბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და ბულგარეთის ნაკრები. ბულგარელები. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. პენალტების სერიით გიმარჯვეს ფრანგებმა. მესამე ადგილისათვის მატჩში სსრ კავშირის კოლექტივი დამარცხდა ბრაზილიის ნაკრებთან ანგარიშით — 0:1 და მეოთხე ადგილს დასჯერდა.

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲛᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ...

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ შეჯიბრება ავტოსამოდელო სპორტში თბილისში პირველად გაიმართა. ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, გდრ-ის და სსრ კავშირის სპორტსმენები.

გუნდურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა გაიმარჯვა — 3000 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბულგარელი სპორტსმენები — 2088, მესამე ადგილი კი წილად ხვდათ ჩეხოსლოვაკიელ ავტომოდელისტებს — 1762 ქულა.

აღსანიშნავია თბილისელი ბორის შუმანის წარმატება, რომელმაც — 12 კლასში ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა. კარგად იასპარეზა აგრეთვე თბილისელმა ანდრია გაღუსტიანმაც, რომელიც ამავე კლასში მესამე იყო.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ინტერესი ავტომოდელი სპორტისადმი დიდია. ოღონდ, ამ ინტერესს გაღრმავება, მუდმივი მზრუნველობა და მხარდაჭერა სჭირდება.

Თ. ᲨᲐᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური შეჯიბრებაზე გადადებული პარტიების დამთავრებისას გაფრინდაშვილმა მოუგო გიორგაძეს, ეფიმოვმა — შალამბერიძეს.

7 ტურის შემდეგ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: სტურუამ და ჯანჯღავამ 5-5 ქულა დაგროვეს, კრასენკოვმა — 4,5, გიორგაძემ და ტყეშეიავამ — 4-4, ზეცურიანმა, ბაღათუროვმა, ტაბატაძემ და მანგაძემ — 3,5-3,5, ეფიმოვმა და გაფრინდაშვილმა — 3-3, გედევანიშვილმა და ჩაჩიბაიამ — 2,5-2,5, შალამბერიძემ — 1,5 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 6 ტური რჩება. მონაწილეები იბრძვიან საკავშირო შესარჩევი ტურნირის 2 საგზურისათვის, ოსტატობის კანდიდატები კი 8,5 ქულის დასაგროვებლად, რომელიც ოსტატის წოდების მოპოვებისათვის არის დაწესებული. ამ ნორმის შესრულების შესაძლებლობებს ჯერჯერობით 5 ოსტატობის კანდიდატი ინარჩუნებს.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. საბერძნეთის დედაქალაქ ათენში დამთავრდა ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდები. მატჩის ძირითად დროში აღინიშნა ფრე — 89-89, დამატებით დროში კი საბერძნეთის ნაკრებმა ორქულიანი უპირატესობით (103:101) გაიმარჯვა და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მესამე ადგილისათვის შეხვედრა იუგოსლავებმა მოუგეს ესპანელებს ანგარიშით 98:87. მეხუთე-მეთორმეტე ადგილები ასევე თანამიმდევრობით განაწილდა: იტალია, გფრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, პოლანდია, ისრაელი და რუმინეთი.

ᲛᲐᲮᲐᲠᲘᲡᲚᲘ ᲩᲐᲜᲩᲣᲚᲘ. ომსკში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე პირველი ადგილი მოიპოვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბელორუსის, ხოლო მესამეზე უზბეკეთის სპორტსმენები.

რედაქტორი

Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲣᲧᲝᲤᲚᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ „ᲖᲐ ᲠᲣᲑᲔᲥᲝᲛᲘᲡ“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში (№ 23) დაიბეჭდა ესპანელი ჟურნალისტის ხუან ფერნანდეს ელორიაგის სტატია ათონის „წმინდა მთის“ შესახებ, სადაც ბერ-მონაზონთა ავტონომიური „რესპუბლიკაა“ შექმნილი. ავტორი მკითხველს აცნობს აქ განლაგებულ კომპლექსებს და იხსენიებს ივერთა მონასტერს (რომელსაც შეცდომით უწოდებს იბერიონს). სტატიაში, კერძოდ, ნათქვამია: „1955 წელს მიიცვალა უკანასკნელი ქართველი ბერი. იბერიონის მონასტერი, რომელიც ქრისტიანმა ქართველებმა X საუკუნეში ათონის მთაზე ააშენეს, ერთ-ერთ ყველაზე წმინდა ადგილად ითვლება. ლეგენდა გვაუწყებს,

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲛᲒᲐᲜᲘ

რომ XVII საუკუნეში ამ მონასტრის ხატმა, რომელიც მოსკოვს ჩამოასვენეს, სიკვდილს გადაარჩინა შეფისწულები. იბერიონი ახლა ბერძნულია, მაგრამ მონასტრის ახალმა პატრონებმა აქ ყველაფერი ხელუხლებლად დატოვეს, მათ შორის ძველ ქართულ ენაზე დაწერილი 100 ეტრატი“.

საქინფორმის კორესპონდენტმა ამ სტატიის განმარტება სთხოვა ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს ავთანდილ მიქაბერიძეს, რომელიც ხუთ წელიწადს მუშაობდა საბერძნეთში და არაერთგზის ყოფილა ათონის ივერთა მონასტერში, სადაც გაეცნო ხელნაწერთა ორიგინალებს. აი, რა გვიამბო მან:

— ათონის ივერთა მონასტერმა რამდენიმე წლის წინათ გადაიხადა დაარსების ათასი წლისთავი. ეს თარიღი აღნიშნეს ქართველმა სწავლულებმაც, როდესაც სპეციალურ სესიებზე შეიკრიბნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში. მონასტერი X საუკუნის 80-იან წლებში დააარსეს იოანე და ეკვთიმე მთაწმინდელებმა, თორნიკე ერისთავმა, გიორგი მთაწმინდელმა და სხვებმა. იგი უთვალსაჩინოესი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახდა. ათონის ივერთა ლავრის განძი ძველი ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციაა. გარდა ამისა, აქ ინახება უნიკალური ოქრომჭედლური ნაკეთობანი, ყდაჭედილობანი, ხატები, ოქრო-ვერცხლის ძაფებით დიდძალი ნაქარგი. ყოველივე ეს ქართველი მეფეებისა და სხვა ქვეყნების მბრძანებლებმა შეწირულობაა მონასტრისადმი.

უკანასკნელ ქართველ ბერზე, რომელიც აქ ცხოვრობდა, მითხრეს, 1956 წელს გარდაიცვალო. ეს ბერი — ტიხონ ფაღავა, გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი კაცი ყოფილა. გვიჩვენეს მისი სენაკი, სადაც რამდენიმე ნაბეჭდი ქართული წიგნი და ხელნაწერთა ფრაგმენტები ვნახე.

მონასტრის კარი დიდი ხნის განმავლობაში ჩაკეტილი იყო ქართველი მეცნიერებისათვის. აწ განსვენებულ კინორეჟისორს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, გურამ პატარაიას და მე ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოგვიხდა, სანამ შევძლებდით ფირზე აღგვებეჭდა 72 უნიკალური მანუსკრიპტი 105-დან. ამ ამბავს დაწვრილებით იუწყებოდა პრესა. ახლა ფოტოფირებს სწავლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალურად შექმნილ საპრობლემო ლაბორატორია „ორიონში“, რომელსაც პროფესორი მზექალა შანიძე ხელმძღვანელობს. მეცნიერებს დიდი მუშაობა მოუწევთ. ათონის სალიტერატურო სკოლამ ხომ გეზი მისცა ქართული ლიტერატურის მთელ შემდგომ განვითარებას. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, არსენ ნინოწმინდელი იყვნენ არა მარტო თვალსაჩინო მოღვაწენი, რომლებსაც დიდი პატივისცემა ჰქონდათ მოხვეჭილი განათლებულ სამღვდელოებას შორის, არამედ აგრეთვე ცნობილი მთარგმნელები და პოეტები.

რაც შეეხება უფლისწულის მხსნელი ხატის ლეგენდას, რომელიც თავის სტატიაში აქვს მოყვანილი ხ. ფ. ელორიაგს, აქ ეგულისხმება ივერთა ღვთისმშობლის ხატის პირი, რომელიც 1648 წელს ჩაუტანეს მონასტრიდან მოსკოვში მეფე ალექსი მიხეილის ძეს (პეტრე პირველის მამას). ამ ხატის დასასვენებლად საგანგებოდ ააშენეს სამლოცველო აღდგომის ბჭესთან. იგი სასწაულმოქმედად ითვლებოდა და დიდი მოწიწებით ეკიდებოდნენ რუსეთში. ხატი ნახსენები აქვს ლევ ტოლსტოისაც რომანში „ომი და შვიდობა“. არსებობს ამ ხატის რამდენიმე პირი, მაგრამ ძირითადი ნოვოდევიჩის მონასტერში ინახება.

ბევრ საიდუმლოს შეიცავს მონუსკრიპტების უნიკალური კოლექცია, და ეს საიდუმლოებანი ქართველმა მეცნიერებმა უნდა ამოიცნონ.

„ᲣᲛᲡᲣᲑᲘᲠᲘ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 12 საათსა და 10 წუთზე ზესტაფონის რკინიგზის კვანძის სადგურში ავარია მოხდა. მსხვერპლი არ მოპყოლია, მაგრამ ბევრი მგზავრი ჰოსპიტალიზებულია. დაიმტვრა ორი სატვირთო და ერთი სამგზავრო ვაგონი, დაზიანდა სატვირთო შემადგენლობის ელმავალი. შემთხვევის გარემოებებს იკვლევს საგანგებო კომისია.

...პირველ ლიანდაგზე იდგა № 184 მატარებელი ერევან-როსტოვი, რომლის მგზავრები ბაქანზე დასეირნობდნენ, მატარებელი 20 წუთი აგვიანებდა გასვლას. უცბად გაისმა გრუხუნი... ხაჯრის სალოკომოტივო დეპოს № 2260 სატვირთო მატარებელი, რომელსაც მართავდნენ მემანქანე დ. ჩიტაძე და მისი თანაშემწე ო. გელაშვილი, ერევან-როსტოვის შემადგენლობას შორაპნის სადგურიდან მოსდევდა. მემანქანემ გზაში ვერ დაიმორჩილა მატარებელი — მუხრუჭებმა უმტყუნა, უმართავმა შემადგენლობამ წოთელ შუქნიშანზე გაიარა და სამგზავრო მატარებელს შეასკდა. ჯერჯერობით ასეთი ვერსიაა. რამდენად სწორია იგი, გამოარკვევს კომპეტენტური კომისია.

— ადეილი სთქმელია: მიდის კაცი, თავისი გეგმები აქვს, ეჩქარება, და ყოველად მოულოდნელად საავადმყოფოში ამოყოფს თავს, — თქვა ზეს